CHESS
CLUB NONA

Digitally signed by
CHESS CLUB NONA
Date: 2019.12.20
14:47:49 +04'00'

ქ. ბათუმი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N46
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

20 დეკემბერი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის `ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ **ა(ა)იპ ქ. ბათუმის საჭადრაკო კლუბი ,,ნონა" დირექტორი გიორგი ჭანტურია**, (შემდგომში `შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს ,,სუპერი"-ს დირექტორი ივანე ხაზარაძე** (შემდგომში `მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. დეკორატიული ნივთები (შემდგომში საქონელი ან მომსახურეობა), ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N1 შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 494 (ოთხასოთხმოცდათოთხმეტი) ლარს და 40 თეთრს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურეობს ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან, საქონლის ან მომსახურეობის მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურეობის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. N91.

5.2. მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 20 დეკემბრიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი გიორგი ჭანტურია.

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულიეა 9.4 პუნქტით გათვალიწსინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღის ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონუილი საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია თავში მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღიდან 2020 წლის 31 იანვრამდე.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ ქ. ბათუმის საჭადრაკო კლუბი ,,ნონა''	შპს ,,სუპერი''
ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. N91	მის. კოსტავას ქ. N23
საიდენტიფიკაციო კოდი: 445426138	საიდ.კოდი:205050905
სახელმწიფო ხაზინა	სს " ტერა ბანკი"
კოდი TRESGE22	კოდი TEBAGE22
ანგარიშიN **740797519**	ანგარიში N GE79KS0000000360203851
დირექტორი: გიორგი ჭანტურია	**დირექტორი: ი. ხაზარაძე**

დანართი №1

№	დასახელება	კლასიფიკაციის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	საახალწლო მაგი პეპიტა წითელი ბაფთით 300მლ	39298900	ცალი	20	4,7	94
2	მაგი ფაუფური,შავთეთრი კუბიკებით,ფერადი ყვავილებით	39298900	ცალი	1	9,7	9,7
3	დანა 20სმ "STRATUS"	39298900	ცალი	1	9,9	9,9
4	საახალწლო ბურთი შავთეთრი,წითეი ბანტით 10სმ	39298900	ცალი	2	14,9	29,8
5	საახალწლო სათამაშო შვთეთრი 10სმ	39298900	ცალი	2	14,7	29,4
6	საახალწლო დეკორატიული დასაკიდი ფიფქი ოქროსფერ და ვერცხლისფერ ფერებში 12სმ	39298900	ცალი	1	9,9	9,9
7	შანდალი მინის დასადგმელი,მრგვალი 6*6*16	39298900	ცალი	1	36,8	36,8
8	შანდალი მინის დასადგმელი,ბრტყელი 7*3*15სმ	39298900	ცალი	1	37,9	37,9
9	საახალწლო წვიმა ვერცხლისფერი დაკლაკლინი 2მ	39298900	ცალი	3	2,3	6,9
10	საახალწლო ბაფთა წითელი,შავ-თეთრი ზოლით 30*41*0სმ	39298900	ცალი	1	32	32
11	საახალწლო ჩაიდნის ნაკრები სასაჩუქრე ყუთით	39298900	ცალი	2	21,45	42,9
12	საახალწლო სასაჩუქრე ნამცხვრის ასაღები გოგონა სანთელით ხელში	39298900	ცალი	2	14,75	29,5
13	საახალწლო მაგები სასაჩუქრე ყუთით,სწორი 1*2	39298900	ცალი	6	14,45	86,7
14	საახალწლო წვიმა ოქროსფერი დაკლაკლინი 2მ	39298900	ცალი	3	2,3	6,9
15	საახალწლო წვიმა მწვანე დაკლაკლინი 2მ	39298900	ცალი	3	2,3	6,9
16	საახალწლო წვიმა მწვანე+თეთრი 2მ	39298900	ცალი	3	8,4	25,2
ჯამი						494,4

დირექტორი: გ. ჭანტურია

დირექტორი: ი. ხაზარაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ბათუმი 20 . 12.2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ ქ.ბათუმის **„საჭადრაკო კლუბი ნონა“**-ს დირექტორს გიორგი ჭანტურიას (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხვრივ **შპს ,,სუპერი”-ს დირექტორი ივანე ხაზარაძე**, (შემდგომში „მიმწოდებელი“) , რომ ჩვენი მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება**N46 (20.12.2019.წ)** არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ქ.ბათუმის „საჭადრაკო კლუბი ნონა“ შპს ,,სუპერი’’

დირექტორი: დირექტორი:

....

გიორგი ჭანტურია ივანე ხაზარაძე